Programme funded by the European Union

World Health Organization
REGIONAL OFFICE FOR Europe

ევროკავშირისა და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის პროექტი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინების გავრცელებისა და ვაქცინაციის მხარდასაჭერად, 2021-2023 წწ.

პროექტის შესახებ

- **ევროკავშირისა და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონული ოფისის ერთობლივი ინიციატივა აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვს ქვეყანაში - სომხეთში, აზერბაიჯანში, ბელარუსში, საქართველოში, მოლდოვის რესპუბლიკასა და უკრაინაში.**
- სამწლიანი, 40 მილიონი ევროს მოცულობის პროექტი, რომელიც ქვეყნებს დაეხმარება COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინების მიღებაში, მათ შორის COVAX-ის პლატფორმისა და ევროკავშირის ვაქცინების გაზიარების მექანიზმის საშუალებით, ვაქცინაციის კამპანიების დაგეგმვასა და ჩატარებაში და ვაქცინაციის პროცესის ხელშეწყობასა და მონიტორინგში.
- დაფინანსება წარმოადგენს ევროპის გუნდის მიერ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში COVID-19-ის პანდემიაზე რეაგირების ზომების გასატარებლად გამოყოფილი დაახლოებით 1 მილიარდი ევროს მოცულობის დახმარების ნაწილს, რომელიც განკუთვნილია როგორც ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული მიმდინარე საჭიროებებისათვის, ასევე სოციალური და ეკონომიკური სფეროს სამომავლო აღდგენისთვის.
- ემყარება და აძლიერებს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ევროკავშირისა და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიმდინარე ინიციატივას „სოლიდარობა ჯანმრთელობისთვის“, რომლის მიზანია პარტნიორი სახელმწიფოების მხარდაჭერა COVID-19-ის პანდემიასთან ბრძოლაში.

6 სახელმწიფო **3 წელი** **40 მილიონი ევრო**

მნიშვნელოვანი მხარდაჭერა სახელმწიფოებს

მიმდინარე მიზნებისთვის პროექტი სახელმწიფოებს დაეხმარება:

- ვაქცინების გავრცელებაზე მიმართული ეროვნული გეგმების მომზადება-განახლებაში და მომსახურების უზრუნველყოფის მეთოდების განსაზღვრაში.
- ვაქცინაციის უსაფრთხოდ ჩასატარებლად და გვერდითი მოვლენების სამართავად საჭირო მასალების, მაგალითად, პერსონალური დაცვის საშუალებებისა და სამედიცინო მასალების, მათ შორის ანტიანაფილაქსიური ნაკრებების, შეძენაში.
- ვაქცინის მახასიათებლებისა და მასთან მოპყრობის საკითხებზე ჯანდაცვის პერსონალისთვის ტრენინგების ჩატარებაში.
- საინფორმაციო-ტექნოლოგიური შესაძლებლობებისა და ინფორმაციის მართვის სისტემების გაძლიერებაში მონაცემების, მათ შორის ვაქცინის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მონაცემების, უკეთესი მონიტორინგისა და შეფასების კუთხით.
- საკომუნიკაციო მასალების მომზადებაში, მოსახლეობის განწყობების შესასწავლად გამოკითხვებისა და საინფორმაციო კამპანიების ჩატარებაში.
- მოსახლეობის მოწყვლად, მათ შორის კონკრეტულ სამიზნე ჯგუფებზე მიმართული ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში.

საშუალო და გრძელვადიანი მიზნებისთვის პროექტი ხელს შეუწყობს:

- საზოგადოებებისა და ეკონომიკების ფუნქციონირების ეტაპობრივ აღდგენას
- იმუნიზაციის ეროვნული სისტემების გაძლიერებასა და მედეგობას
- ჯანდაცვის პერსონალის შესაძლებლობების გაძლიერებას ისეთი დაავადებების მართვაში, რომელთა პრევენცია შესაძლებელია ვაქცინაციით, და იმუნიზაციაში

აღნიშნულ ინიციატივას **განახორციელებენ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონული ოფისი და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ოფისები** 6 ქვეყანაში ევროკავშირის დელეგაციებთან, ხელისუფლებებთან და პარტნიორებთან, მათ შორის გაეროს სისტემაში შემავალ ორგანიზაციებთან, მჭიდრო თანამშრომლობით.

კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინებისა და ვაქცინაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის, იხ.:

- WHO/Europe website on COVID-19 pandemic
- European Commission's coordination to a common European response to the COVID-19 outbreak
- European Union Directorate-General for Neighbourhood and Enlargement Negotiations (DG NEAR)
- European Union Solidarity for Health Initiative in the Eastern Partnership countries

პუბლიკაცია მომზადდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია
ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონული ოფისი და შესაძლოა არ გამოხატავდეს ევროკავშირის პოზიციას.